



ინოვაციური ტექნოლოგიების როლი სადაზღვევო პროდუქტების შემუშავებაში

რეზიუმე

ქვეყნის საფინანსო ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილიზაციასა და სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკაზე თანდათანობით გადასვლაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სადაზღვევო ბაზრის ფუნქციონირების სწორად მართვას. აღნიშნულიდან გამომდინარე, სადაზღვევო სფეროს განვითარებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარებისათვის, შესაბამისად აქტუალური ხდება აღნიშნული სფეროში ინოვაციური პროდუქტების შექმნა და განვითარება.

საკვანძო სიტყვები:

საბაზრო ეკონომიკა
ინოვაციური პროდუქტები
სტაბილიზაცია
ეკონომიკური სისტემა
ბაზრის ფუნქციონირება

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში წარმოებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური სისტემის გარდაქმნა. გარკვეული რეფორმები ტარდება აგრეთვე სახელმწიფო სადაზღვევო სისტემაშიც, რომელიც მიმართულია ჩვენი ქვეყნის სადაზღვევო საქმიანობის სოციალური მხარის გაფართოებაზე. დღეს საქართველოში მიმდინარეობს სადაზღვევო ბაზრის ფორმირება, მისი ჩამოყალიბება მყარ საკანონმდებლო საფუძველზე სადაზღვევო მომსახურების სფეროს გაფართოებისა და მისი ხარისხის ამაღლებისათვის, სათანადო პირობების შექმნა იმისათვის, რომ სადაზღვევო საქმიანობაში სწორად ჩატარდეს რეფორმები, რაც საშუალებას მოგვცემს გამოვავლინოთ პრობლემები, რომლებიც დგას დღეს ჩვენი სადაზღვევო სისტემის წინაშე.

წარსულში, როდესაც საბჭოთა ხალხი ცხოვრობდა თავისი ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური არსებით საერთო - სახალხო საკუთრების ფორმის წარმოებითი ურთიერთობების საზოგადოებაში, დარჩა სადაზღვევო კულტურის გარეშე. რაკი სახელმწიფო თავისთავზე იღებდა ყველაფერზე პასუხისმგებლობას, დაზღვევას ადამიანთა

მარიამ ხუციშვილი

სტუ-ს დოქტორანტი

E-mail: mariam.khutsishvili@irao.ge

ცხოვრებაში უმნიშვნელო ადგილი ეკავა. ამჟამად, როცა დაიშალა და დაინგრა უზარმაზარი ეკონომიკური პოტენციალის მქონე სახელმწიფო და მისი ნანგრევების ბაზაზე შეიქმნა დამოუკიდებელი სახელმწიფოები, რომლებიც ეკონომიკის მშენებლობის სულ სხვა ურთიერთობებს ახორციელებენ, მწვავედ იზიან თავი ყველა იმ პროცესმა, რომელიც იგნორირებული, ან სუსტად განვითარებული იყო სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში. ერთ-ერთი ასეთი მწვავე პრობლემა არის დაზღვევის საქმის ორგანიზაცია, რთული სადაზღვევო ეკონომიკის განვითარების აუცილებლობა, რომლის გარეშე წარმოუდგენელია საბაზრო ურთიერთობის განვითარება.

როგორც ვიცით, დაზღვევა ეკონომიკური დაცვის მნიშვნელოვანი ღონისძიებაა, იგი მიზანმიმართული ზრუნვაა ადამიანთა სოციალურ დაცვაზე, ეკონომიკურ უზრუნველყოფაზე. თანამედროვე პირობებში და შემდგომ პერსპექტივაშიც საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირება წარმოუდგენელია დაზღვევის გარეშე. დაზღვევა არის ეკონომიკის ის სფერო, რომელიც დღევანდელ კატაკლიზმებით სავსე ცხოვრებაში დაგვიცავს მრავალი მოულოდნელობისაგან.

ამჟამად, საქართველოში მიმდინარეობს სამედიცინო დაზღვევის განვითარება. სამედიცინო დახმარების მაღალი ღირებულების გამო, კონკრეტულ მომხმარებელს, ბუნებრივია, არ შეუძლია ხარჯების უშუალოდ ანაზღაურება, ამიტომაც აუცილებელია ქვეყანაში ფართოდ გავრცელდეს სამედიცინო დაზღვევის პროგრესული ფორმები. სამედიცინო დაზღვევა ეს არის ეკონომიკური ურთიერთობების მხარე, რომელიც დაკავშირებულია სადაზღვევო ფონდის ფორმირებასა და გამოყენებასთან, რომელიც მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას ემსახურება. სამედიცინო დაზღვევის მიზანია, სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, დაგროვილი სადაზღვევო რეზერვებიდან უზრუნველყოს მოქალაქეები სამედიცინო დახმარების მიღებით და დააფინანსოს დაავადების პროფილაქტიკა.



ჩვენს ქვეყანაში სამედიცინო დაზღვევა ჯანდაცვის ორგანიზაციის თვისობრივად ახალი ეტაპია. ეკონომიკური კრიზისის პირობებში სწორედ სამედიცინო დაზღვევის სისტემა უზრუნველყოფს სამედიცინო დახმარების ხელმისაწვდომობას მოსახლეობისათვის. ამაზე მეტყველებს მრავალი ქვეყნის, მ.შ. ყოფილი სოციალისტური ქვეყნების (უნგრეთში, ჩინეთი, სლოვაკეთი), გამოცდილება, სადაც სამედიცინო დაზღვევა იძლევა დამატებითი საფინანსო შესაძლებლობებს და ჯანდაცვის მთელი სისტემის ეფექტიანობის ამაღლების საშუალებას.

თანამედროვე პირობებში, რომ არ დაგაკნინოთ ჩვენი, საბჭოთა კავშირის დროს არსებული სამედიცინო დაზღვევა, საჭიროა შევინარჩუნოთ ყველა ის დადებითი თვისებები, რომლებიც ადრე არსებობდა ამ სფეროში, მაგრამ ყველაზე მთავარია ის, რომ დღეს ჩვენი ქვეყნის ყველა ტერიტორიაზე უნდა გადავწყვიტოთ გარკვეული ამოცანები ამ დარგში. ბევრი ცივილიზებული სახელმწიფოს პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ფედერალურ დონეზე ძირითადად უნდა დარჩეს ნორმატიულ - საკანონმდებლო ბაზის შექმნა, რესპუბლიკური მნიშვნელობის მიზნობრივი, კომპლექსური პროგრამების ფორმირება და ა.შ. ამავე დროს ჯანდაცვის ძირითადი მოთხოვნილება ფინანსებზე, რეალიზებული უნდა იქნეს ადმინისტრაციული ტერიტორიების დონეზე. სწორედ აქ არის საჭირო ძირითადი მმართველობითი ფუნქციების კონცენტრაცია და ადგილზე უნდა იქნეს შექმნილი ყველა საშუალება მოსახლეობის სამედიცინო გარანტირებული დაზღვევისათვის.

ავტომფლობელის მესამე პირის წინაშე პასუხისმგებლობის (MTPL) სავალდებულო დაზღვევის მნიშვნელობა “მოქალაქეები რეალურად ვერ აფასებენ რისკებს, რის წინაშეც შესაძლოა აღმოჩნდნენ ან უბრალოდ არის აღქმა იმისა, რომ დაზღვევა ზედმეტი ხარჯია და სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას სადაზღვევო კომპანიები მაინც არ აუნაზღაურებენ ზარალს”.

MTPL-ის (Motor Third Party Liability Insurance) - ავტომფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა წლის ბოლოსთვის სავალდებულო გახდება ყველა ტიპის სატრანსპორტო ავტომობილებისათვის. ამ კანონპროექტის მიზანია, დააზღვიოს საქართველოს მოქალაქეების სიცოცხლე, ჯანმრთელობა და ქონება ზიანისგან, რომელიც შესაძლოა, მათ მიაყენოს სატრანსპორტო ავტომობილის მძღოლმა.

დაზღვევა სავალდებულო უნდა გახდეს საქართველოში რეგისტრირებული ავტომფლობელებისთვისაც, რასაც ასოცირების ხელშეკრულება

გვაგაღებულებს. იმ ფონზე, რომ საქართველოში დაზღვევა ზოგადად არ არის პოპულარული, და ავტომფლობელთა მხოლოდ მცირე ნაწილს (5%-მდე) აქვს პასუხისმგებლობა დაზღვეული, დაზღვევის „სავალდებულობა“ ერთი მხრივ, სადაზღვევო ბაზარს უფრო მიმზიდველს გახდის ინვესტორებისთვის, ხოლო, მეორე მხრივ, საქართველოს მოქალაქეები უფრო დაცულები იქნებიან.

ასოცირების შეთანხმება გვაგაღებულებს 2009 წლის 16 სექტემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009/103/EC) დირექტივის შესრულებას. იგი ეხება ავტოსატრანსპორტო საშუალების გამოყენებისას სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევას. შეთანხმებაში აღნიშნულია, რომ კონცეფცია, საქართველოში ადგილობრივი, შიდა ბაზრის განვითარების გათვალისწინებით უნდა შემუშავდეს და ასოცირების საბჭოს წარედგინოს 2019 წელს. ასოცირების შეთანხმებაში აღნიშნულია, რომ მეორე 2009/138/EC დირექტივის დებულებები, „სადაზღვევო ბიზნესის დაწყებისა და ფუნქციონირების შესახებ“ ასოცირების შეთანხმების ძალაში შესვლიდან ექვსი წლის ვადაში უნდა შესრულდეს.

დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა კოტე სულამანიძემ eugeorgia.info-ს განუცხადა, რომ პირველ დირექტივაზე (2009/103/EC) მუშაობა მიმდინარეობს ორი მიმართულებით. პირველ ეტაპზე MTPL (ავტომფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა) სავალდებულო გახდება სატრანსპორტო ავტომფლობელებისთვის. პარალელურად მუშავდება კანონპროექტი, რომლითაც MTPL სავალდებულო გახდება საქართველოს მოქალაქეებისთვისაც.

რაც შეეხება ზემოთ ნახსენებ მეორე დირექტივას, რომელიც Solvency II-ის სახელით არის ცნობილი, სულამანიძის განმარტებით Solvency I (Solvency II-ის წინა დირექტივა, რომელიც ევროკავშირში მოქმედებდა 2016 წლის 1 იანვრამდე) უკვე დანერგილია და სადაზღვევო კომპანიები უკვე გადავიდნენ ახალ სტანდარტზე, ისინი ანგარიშსწორებასა და რეპორტირებს ახორციელებენ ამ დირექტივის შესაბამისად. 2016 წლის 1 იანვრიდან ევროკავშირი გადავიდა Solvency II-ზე, რომელიც საქართველოს კანონმდებლობაში 2020 წელს უნდა აისახოს. მისი მთავარი მოთხოვნაა სადაზღვევო კომპანიებს ჰქონდეთ საკმარისი ფინანსური რესურსები და მყარი გარანტიები. იგი ასევე ადგენს მართვისა და ზედამხედველობის წესებს. ამ დირექტივის მიხედვით სადაზღვევო კომპანიებს მოეთხოვებათ ორი ტიპის კაპიტალი:

- მინიმალური კაპიტალის მოთხოვნა (Min-



imum Capital Requirement): კაპიტალის ის მინიმალური ოდენობა, რომლის ქვემოთაც პოლისის მფლობელები დაუცველი იქნებიან მაღალი რისკისგან.

- გადახდისუნარიანობის კაპიტალის მოთხოვნები (Solvency Capital Requirement): კაპიტალის ის მოცულობა, რომელიც სადაზღვევო კომპანიებს სჭირდებათ იმ შემთხვევებისთვის, როცა მნიშვნელოვან დანაკარგებს აქვს ადგილი.

„სადაზღვევო კომპანიებმა უნდა შემოიტანონ ადეკვატური და გამჭვირვალე მმართველობის სისტემა პასუხისმგებლობების ზუსტი განაწილებით. მათ უნდა ჰქონდეთ შესაბამისი ადმინისტრაციული რესურსები იმისათვის, რომ უზრუნველყონ რისკების მართვა, კანონმდებლობასთან თავსებადობა და შიდა აუდიტი“ - აღნიშნულია დირექტივაში.

ავტომფლობელის პასუხისმგებლობის დაზღვევა ე. წ. MTPL ავტოდაზღვევისგან (CASCO) თვისებრივად განსხვავდება. MTPL აზღვევს იმ რისკებს, რომელიც გამოწვეულია მესამე პირის ჯანმთელობის ან მისი ქონების დაზიანებით. ანუ მე თუ მეავს ავტომობილი და ჩემი ქმედებით ვაყენებ ზიანს სხვის ქონებას ან ჯანმრთელობას, პასუხისმგებელი ვარ ამ ზარალის ანაზღაურებაზე. დაზღვევის შემთხვევაში ჩემს მაგივრად ზარალს ანაზღაურებს სადაზღვევო კომპანია ლიმიტების შესაბამისად. (CASCO) კი სხვა ტიპის რისკებს აზღვევს: მაგალითად, თუ ჩემს ავტომობილს მიაყენეს დაზიანება, სადაზღვევო კომპანია ამინაზღაურებს ზარალს.

თუ ავტოსაგზაო შემთხვევათა სტატისტიკას დავაკვირდებით მიგვხვდებით, რაოდენ მნიშვნელოვანია ავტომფლობელთა პასუხისმგებლობის დაზღვევა საქართველოში. 2015 წელს 6432 ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა, რაც წინა წლის მაჩვენებელს 7,3%-ით აღემატება, დაზარალებულთა რაოდენობა საკმაოდ მაღალი იყო ამავე წელს - 9187 (7,6%-ით მეტი 2014 წლის მაჩვენებელზე). 2015 წელს ავტოსაგზაო შემთხვევებს 602 ადამიანი ემსხვერპლა, რაც ასევე გაზრდილია 2014 წელთან შედარებით (511).

შსს-ს ინფორმაციით საქართველოს ავტოპარკი 2015 წელს 8,23%-ით გაიზარდა და 1,1 მილიონს გადააჭარბა. 2016 წელს კი საქართველოში რეგისტრირებული ავტომობილების რაოდენობა 1,2 მლნ-ზე მეტია, რომლის მხოლოდ 4,3%-ია დაზღვეული. სავალდებულო MTPL-ის დაზღვევის იქნება ერთგვარი სოციალური ეფექტის მატარებელი, რადგან მოქალაქეთა ჯანმრთელობა და ქონება იქნება დაცული. ამას გარდა, სავალდებულო დაზღვევის შემოღება ქმნის ახალ ბაზარს სადაზღვევო კომპანიებისთვის, ვინაიდან როგორც

ზემოთ აღინიშნა, ამჟამად საქართველოში სადაზღვევო ბაზრის წილი არის ძალიან დაბალი (PENETRATION RATE) და მნიშვნელოვნად ჩამორჩება ევროკავშირის ქვეყნებში არსებულ წილებს, შესაბამისად, დაზღვევის სავალდებულობა გაზრდის ამ წილს, რაც გამოიწვევს უცხოური სადაზღვევო კომპანიების შემოსვლას ბაზარზე, რაც თავის მხრივ ინვესტიციების ზრდას გულისხმობს.

მოზიდული პრემიების მიხედვით MTPL-ის დაზღვევით „აღდაგი“ და „ჯიპიაი ჰოლდინგი“ ლიდერობენ. „ჯიპიაი ჰოლდინგის“ მარკეტინგისა და კომუნიკაციების ხელმძღვანელის თინათინ სტამბოლიშვილის ინფორმაციით, მიუხედავად ამ პროდუქტის ხელმისაწვდომობისა ავტომფლობელთა ძალიან მცირე ნაწილს აქვს შეძენილი MTPL-ის დაზღვევა:

MTPL-ის თემა აქტუალურია გამომდინარე იქედან, რომ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ან სავალდებულოა ამ ტიპის დაზღვევა ან მოსახლეობის მოცვა იმდენად მაღალია, რომ არ საჭიროებს სავალდებულობას. განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში სადაც სადაზღვევო კულტურა მაღალია შესაძლოა MTPL სულ არ იყოს კანონით სავალდებულო. მაგალითად ავსტრალიაში არ არის კანონით სავალდებულო თუმცა, ავტომფლობელთა 90%-ზე მეტს აქვს MTPL-ის დაზღვევა შეძენილი. „საქართველოს სადაზღვევო ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი გიორგი გიგოლაშვილი მიიჩნევს, რომ MTPL-ის დაზღვევას გარკვეულწილად სოციალური დატვირთვა აქვს და მნიშვნელოვანია რომ ის სავალდებულო გახდეს.

ამგვარად, MTPL-ის სავალდებულო დაზღვევის შემოღება მნიშვნელოვანია როგორც სოციალური მიზნებისთვის, ისე სადაზღვევო ბაზრის განვითარებისათვის. ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები იქნებიან უფრო დაცულები და აღმოიფხვრება მთელი რიგი პრობლემები, რაც ზარალის ანაზღაურებასთან არის დაკავშირებული. აქ მნიშვნელოვანია, რომ ანაზღაურების ლიმიტები იყოს სწორად შერჩეული და განსაზღვრული თითოეული რისკის (ჯანმრთელობის, სიცოცხლის და ქონების დაზიანება) შემთხვევაში. გარდა ამისა, გაიზრდება სადაზღვევო მოცვა და გაზრდილი ბაზრით უცხოური სადაზღვევო კომპანიები მეტად დაინტერესდებიან. ბუნებრივია, სადაზღვევო ბაზრის განვითარების კვალდაკვალ გაიზრდება მინიმალური კაპიტალის მოთხოვნები, რისი შესრულებაც აგრეთვე ასოცირების შეთანხმების ნაწილია და შესაბამისად გულისხმობს სადაზღვევო სექტორის მეტ სტაბილურობასა და მყარ გარანტიებს.

მესამე პირის მიმართ სამოქალაქო პასუხისმგებლობის (GTPL) სავალდებულო დაზღვევა



ასევე ბაზარზე სავალდებულო ხდება მესამე პირის მიმართ სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა. ამის შესახებ პრემიერმინისტრმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა. გიორგი კვირიკაშვილის თქმით, მთავრობას ამ ნაბიჯის გადადგმისკენ ბოლო პერიოდში მომხდარმა ხანძრის შემთხვევებმა უბიძგა. სახელმწიფო შეადგენს ამ ობიექტების ნუსხას, რის შემდეგაც მათ დაზღვევის ვალდებულება გაუჩნდებათ.

გიორგი კვირიკაშვილმა განაცხადა, რომ

მთავრობა ავტომატილების სავალდებულო დაზღვევის შემოღებაზეც მუშაობს. უფრო კონკრეტულად საუბარია მესამე პირის სავალდებულო დაზღვევაზე.

2017 წლის 28 დეკემბერს ძალაში შევიდა მთავრობის დადგენილება მასობრივი თავშეყრის ობიექტების განსაზღვრისა და მათი მფლობელების მიერ მესამე პირის წინაშე სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის წესისა და პირობების დადგენის შესახებ.

ლიტერატურა

1. http://www.nbg.gov.ge/uploads/legalacts/dazghveva/11dazgvevis_kanoni.pdf
2. <http://insurance.gov.ge/>
3. 6. შონია, ი. მესხია - სადაზღვევო საქმე, 2005.
4. 3. ალექსანდრ - მარკეტინგი მარტივად, 2016.
5. დ. ალენი - საქმესთან გამკლავების ხელოვნება, 2016.
6. Зубец А.Н. Маркетинг на финансовых рынках. Поведение потребителей. М.: Приориздат, 2002
7. Котлер Ф. 300 ключевых вопросов маркетинга: отвечает Филипп Котлер. / Пер. с англ. М.: ЗАО «Олимп - Бизнес», 2006.
8. Шахов В.В. Страхование: Учебник для вузов. М.: Юнити, 2003.
9. Meadows, M., Dibb, S. Assessing the Implementation of Market Segmentation in Retail Financial Services // International Journal of Service Industry Management, 1998.
10. Коваль, А. Человеческий капитал в страховании важнее финансового / А. Коваль // Управление персоналом. 2004.
11. European Insurance in Figures. Complete Data, 1998, - 2001.

THE ROLE OF INNOVATIVE TECHNOLOGIES IN DEVELOPING INSURANCE PRODUCTS

MARINE KHUTSISHVILI

phd student of GTU

E-mail: mariam.khutsishvili@irao.ge

Summary

proper management of the insurance market functioning plays significant role in stabilization of the country's financial-economic situation and gradual transition to socially oriented market economy. Based on the above mentioned, the development of the insurance sector is of great importance for the economic development of the state, therefore the creation and development of innovative products in the field it is becoming more and more urgent. author discusses the theoretical aspects of the insurance case, explains the purpose of insurance marketing and discusses the concepts of insurance marketing and directions. This is dedicated to the theoretical principals of insurance marketing, fundamental definition of the essence and importance of insurance marketing, the differentiation of the types of decision making, as well as the insurance company's marketing complex at what time the manager is to make decision for the goal optimization. in particular the author speaks about the two innovative products on the Georgian insurance market, such as car owner's compulsory liability insurance towards the third party and the mandatory civil liability insurance towards the third party.

Keywords: Market economy, Innovative products, Stabilization, Economic system, Market functionality.